

ეროვნული უმცირესობების ენა და ლიტერატურა არაქართულენოვანი
სკოლებისათვის/სექტორებისთვის (აზერბაიჯანული, სომხური)

VII-IX კლასების სტანდარტები

შესავალი

საბაზო საფეხურის მშობლიური ენისა და ლიტერატურის სტანდარტი შემდეგი ნაწილებისგან შედგება:

- ა) საბაზო საფეხურზე საგნის სწავლა-სწავლების მიზნები
- ბ) სტანდარტის მიმართულებები და შედეგები
- გ) სტანდარტის შინაარსი
- დ) ჩარჩო საბაზო საფეხურის სასწავლო თემებისათვის
სტანდარტის საკვანძო შეკითხვები
შეფასება
ტერმინოლოგიური ლექსიკონი

ა) საგნის სწავლა-სწავლების მიზნები

მშობლიური ენისა და ლიტერატურის სწავლა-სწავლების მიზნებია:

- სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების შექმნა-გაზიარების უნარების განვითარება (მათ შორის, ტექსტების შექმნა-გაზიარება თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით); კულტურული იდენტობის განვითარება და სხვა კულტურების პატივისცემელი პიროვნების ფორმირების ხელშეწყობა.
- მხატვრულ-ესთეტიკური გემოვნების განვითარება;
- დასაბუთებული მსჯელობის უნარების განვითარება;
- დამოუკიდებლად სწავლის უნარების განვითარება;
- ჰუმანურ ღირებულებებზე ორიენტირებული, შემოქმედებითი და მაძიებელი პიროვნების ფორმირების ხელშეწყობა;
- მოქალაქეობრივი ცნობიერების განვითარება;

ამ მიზნებზე მუშაობით მშობლიური ენა და ლიტერატურა თავის წვლილს შეიტანს ეროვნული სასწავლო გეგმის მისიისა და მიზნებით გათვალისწინებული უნარებისა და ღირებულებების განვითარებასა და ჩამოყალიბებაში.

ბ) სტანდარტის შედეგები მიმართულებების მიხედვით და შინაარსი

სტანდარტის შედეგები პასუხობს შეკითხვას: რა უნდა შეემდოს მოსწავლეს მშობლიური ენისა და ლიტერატურის ფარგლებში საბაზო საფეხურის ბოლოს. სასწავლო შედეგები საგნის სწავლა-სწავლების მიზნებიდან გამომდინარეობს. მათი საშუალებით მოსწავლეს განუვითარდება: კვლევის, არგუმენტირებული მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, დროსა და სივრცეში ორიენტირების უნარები; ჩამოუყალიბდება კრიტიკული აზროვნება, ეთიკისა და პასუხისმგებლობის გრძნობა.

მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში გამოიყოფა სამი მიმართულება:

პირველი მიმართულებაა ტექსტის გაგება-გაანალიზება - მასში დაჯგუფებულია იმგვარი უნარები, რომელთა საშუალებითაც მოსწავლე სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტებში მოცემული ექსპლიციტური და იმპლიციტური ინფორმაციის ამოცნობასა და მრავალმხრივად გააზრებას შეძლებს.

მეორე მიმართულებაა ცოდნისა და იდეების გაზიარება - ამ მიმართულებაში გაერთიანებული უნარები გულისხმობს, რომ მოსწავლემ, როგორც მკითხველმა, წარმოაჩინოს თავისი დამოკიდებულება ტექსტის მიმართ, არგუმენტირებულად იმსჯელოს ნაცნობ თემებზე, საკითხებზე/პრობლემებზე, გააზიაროს ცოდნა ან/და ტექსტის გაცნობის შედეგად მიღებული საკუთარი უნიკალური გამოცდილება, წარმოადგინოს დამოუკიდებლად ჩატარებული სამუშაოს შედეგები ზეპირი ტექსტებისა თუ წერილობითი ნამუშევრების სახით.

მესამე მიმართულებაა ენა - ამ მიმართულებაში დაჯგუფებული შედეგები მოითხოვს ენობრივი ცოდნის ფუნქციურად გამოყენების უნარების განვითარებას. ენობრივ-გრამატიკული ცნებები უნდა ისწავლებოდეს კონკრეტულ კონტექსტზე დაყრდნობით, საკითხავი ტექსტების ჟანრობრივ-შინაარსობრივი და სტილური მახასიათებლების გათვალისწინებით.

მეოთხე მიმართულებაა სწავლის სწავლა - ეს მიმართულება გულისხმობს სხვადასხვა საკომუნიკაციო სიტუაციაში (ლაპარაკის, მოსმენის, კითხვისა თუ წერის დროს) კოგნიტური და მეტაკოგნიტური სტრატეგიების კონკრეტული სასწავლო ამოცანების შესაბამისად შერჩევისა და გააზრებულად გამოყენების უნარს.

საბაზო საფეხურის (IX კლასის) ბოლოს მისაღწევი შედეგები

ინდექსების განმარტება

სტანდარტში გაწერილ თითოეულ შედეგს წინ ინდექსი აქვს დართული:

მაგალითად, **მშ.საბ.1:**

„**მშ.**“ - მიუთითებს საგანს „მშობლიური ენა და ლიტერატურა“;

„**საბ.**“ - მიუთითებს საბაზო საფეხურს,

„**1**“ - მიუთითებს შედეგის რიგს (აქ: პირველ შედეგს).

ეროვნული უმცირესობების ენისა და ლიტერატურის სტანდარტის შედეგები არაქართულენოვანი სკოლებისათვის/სექტორებისთვის	
მიმართულება: ტექსტის გაგება-გაანალიზება	
	მოსწავლემ უნდა შეძლოს:
მშ. საბ. 1	ტექსტში არსებული ინფორმაციის გააზრების საფუძველზე დასკვნ(ებ)ის გამოტანა.
მშ. საბ. 2	მსჯელობა ტექსტის თემაზე, მთავარ იდეაზე, პრობლემაზე/საკითხზე მნიშვნელოვანი დეტალების/ნიუანსების გათვალისწინებით.
მშ. საბ. 3	ტექსტის გააზრება ისტორიულ და თანამედროვე კონტექსტში.
მიმართულება: ცოდნისა და იდეების გაზიარება	
	მოსწავლემ უნდა შეძლოს:
მშ. საბ. 4	ტექსტის ინტერპრეტაცია, შეფასება; საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა და ახსნა-განმარტება.
მშ. საბ. 5	ტექსტების (მაგ., წერიტი ნამუშევრის, პრეზენტაციის) შედგენა-გაზიარება საკომუნიკაციო სიტუაციის გათვალისწინებით.
მიმართულება: ენა	
	მოსწავლემ უნდა შეძლოს:
მშ. საბ. 6	ენობრივ-გრამატიკული ფორმებისა და კონსტრუქციების ცოდნის გამოყენება ტექსტის ანალიზის დროს.
მშ. საბ. 7	ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების (ლექსიკური, სტილური, მხატვრული) ცოდნის გამოყენება ტექსტის ანალიზის დროს.
მშ. საბ. 8	სტრუქტურულ-ორგანიზაციული ელემენტების ცოდნის გამოყენება ტექსტის გაგება-გაანალიზების დროს.
მიმართულება: სწავლის სწავლა	
	მოსწავლემ უნდა შეძლოს:
მშ. საბ. 9	კითხვის, ზეპირმეტყველების, წერის სტრატეგიების მიზნის შესაბამისად შერჩევა და ადეკვატურად გამოყენება.
მშ. საბ. 10	სწავლის პროცესში გამოყენებული სტრატეგიების გაცნობიერება, გაანალიზება და შეფასება მიზანშეწონილობისა და ეფექტიანობის თვალსაზრისით.

შინაარსი

გრამატიკული ცნებები

ენობრივ-გრამატიკული საკითხების სწავლებაში უპირატესობა ენიჭება ფუნქციურ-სემანტიკურ მიდგომას, რაც გულისხმობს ენობრივი მოვლენების ღრმა და მრავალმხრივ შესწავლას მათი ფუნქციონირების თვალსაზრისით. გაკვეთილებზე ყურადღება უნდა დაეთმოს არა მხოლოდ ენის სისტემის აღწერას, მონაცემთა კლასიფიკაციას, არამედ სამეტყველო ამოცანის შესატყვისი სწორი, აზრობრივად ზუსტი, სტილისტურად და სიტუაციურად მართებული ენობრივ-გამომსახველობითი

ხერხების ძიებას. ამდენად, ენობრივი მასალა უნდა შეესაბამებოდეს სტანდარტში მითითებულ სამეცნიერო ამოცანებს და ისწავლებოდეს ტექსტების სტილური და შინაარსობრივი მახასიათებლების გათვალისწინებით.

საბაზო საფეხურზე სწავლებისას, ენის სპირალური პროგრესით სწავლა-სწავლების პრინციპების შესაბამისად, მოსწავლე სისტემურად გაიაზრებს უკვე ნაცნობ თუ ახლად ნასწავლ კონკრეტულ საკითხებს და აღიქვამს ცალკეულ ენობრივ-გრამატიკულ კატეგორიებს არა იზოლირებულად, არამედ ერთიანი სისტემის ფარგლებში. სწავლება წარმართება იმ მიმართულებით, რომ მოსწავლეებს განუვითარდეთ შეძენილი ენობრივი ცოდნის ფუნქციურად გამოყენების უნარი, რაც გულისხმობს სათანადო სტილის შერჩევას, ნასწავლი ლექსიკის, ენობრივ-გრამატიკული ფორმებისა და სინტაქსური კონსტრუქციების გამოყენებას კონკრეტულ კონტექსტში საკომუნიკაციო სიტუაციის (მიზნის, აუდიტორიის) და თემის შესაბამისად.

კონკრეტული გრამატიკული საკითხების ჩამონათვალი ენების მიხედვით იხ. დანართში.

სტანდარტი მოსწავლისაგან მოითხოვს არა ენის სისტემის აღწერას, არამედ შეძენილი გრამატიკული ცოდნის ფუნქციურად, კომუნიკაციური მიზნებით გამოყენების უნარს.

ლექსიკა და სტილი

- სინონიმი, ანტონიმი, ომონიმი, დიალექტიზმი, ბარბარიზმი, ჟარგონი, არქაიზმი, ნეოლოგიზმი; ფრაზეოლოგიზმი/მყარი შესიტყვება; სტილისტური ხარვეზი (ტავტოლოგია, კალკი, პარონიმები, ატროფია); ფუნქციური სტილი (სასაუბრო, მხატვრული, პუბლიცისტური, საქმიანი).
- **ლიტერატურის მცოდნეობა:** ჟანრი, თემა, ქვეთემა, დედააზრი (მთავარი იდეა), მოქმედების დრო და ადგილი, ავტორი, მთხრობელი; პერსონაჟი, ხედვის კუთხე, ლირიკული გმირი; მეტრი, რითმა; ალიტერაცია, ასონანსი; მეტაფორა, სახე-სიმბოლო, ალეგორია; რეფრენი, აფორიზმი; ციტირება, ალუზია; კომპოზიცია; სიუჟეტის განვითარების ეტაპები (კვანძის შეკვრა, კულმინაცია, კვანძის გახსნა).
- **რიტორიკა:** რიტორიკული შეკითხვა, დაპირისპირება; გამეორება; თეზისი, არგუმენტი.
- **ტექსტის სტრუქტურა:** სათაური, თავი, ქვეთავი, აბზაცი (სახეები, სტრუქტურა);
- **მეტყველების ფუნქციური ტიპები:** თხრობა, აღწერა, მსჯელობა.

ტექსტების ტიპები:

მხატვრული ლიტერატურა: პროზა (მოთხრობა, ნოველა, იგავ-არაკი), პოეზია: ლექსი, პოემა.

არამხატვრული ლიტერატურა: საინფორმაციო-შემეცნებითი ტექსტი, დარგობრივი ტექსტი, ესე, პუბლიცისტისტიკა/პრესაში გამოქვეყნებული მასალა, დოკუმენტური/ /მემუარული პროზა, ბიოგრაფიული/ავტობიოგრაფიული ტექსტი, ეპისტოლარული მემკვიდრეობის ნიმუში, საჯარო გამოსვლა, დამარწმუნებელი/არგუმენტირებული ტექსტები; ოფიციალური-საქმიანი (განცხადება, CV, ავტობიოგრაფია, სამოტივაციო წერილი).

დ) ძირითადი თემატიკა

საბაზო საფეხურზე ლიტერატურის სწავლა-სწავლება წარმართება სამი ძირითადი თემატური ბლოკის ფარგლებში. საბაზო საფეხურის თითოეულ კლასში მოსწავლეებს უნდა შევთავაზოთ სამივე თემატური ბლოკის შესაბამისი მასალა.

I თემატური ბლოკი. ადამიანის ცხოვრება, საზოგადოებაში თანაცხოვრება

საორიენტაციო თემები

ადამიანი და მისი ცხოვრება (მაგ., ადამიანის ყოფა-ცხოვრება, საქმიანობა, ურთიერთობა სხვა ადამიან(ებ)თან; ადამიანის შინაგანი სამყარო (გრძნობები, განცდები, ემოციები, დამოკიდებულებები/ფასეულობები);

საზოგადოებაში თანაცხოვრება (მაგ., ადამიანის ადგილი საზოგადოებაში, კონფლიქტი საზოგადოებასთან, საზოგადოების ზემოქმედება ადამიანზე; ადამიანი, რომელიც ზეგავლენას ახდენს საზოგადოებაზე -გმირი);

ცხოვრება სახელმწიფოში (მაგ., ადამიანი ტოტალიტარული მმართველობის, პოლიტიკურ-საზოგადოებრივი რყევების, საომარი კონფლიქტის დროს; ადამიანის წვლილი ქვეყნის აღმშენებლობაში, წინსვლა-განვითარებაში).

II თემატური ბლოკი. სამყაროს შეცნობა, ახლის ძიება

საორიენტაციო თემები

სამშობლო/მშობლიური სამყარო (მაგ., მშობლიური ქვეყნის წარსული, აწმყო, მომავალი; მშობლიური ენა, კულტურა; მშობლიური ქვეყნის მრავალფეროვნება);

ბუნებასთან ურთიერთობა (მაგ., ბუნების მშვენიერების, ჰარმონიის აღქმა, წონასწორობა/ბალანსი ადამიანსა და ბუნებას შორის, კონფლიქტი ბუნებასთან და მისი შედეგები, ზრუნვა ბუნებაზე/გარემოზე თანამედროვე ეპოქაში);

ახალი სამყაროს აღმოჩენა-შეგეგმვა(მაგ., მოგზაურობა, სწავლა-აღზრდა).

III თემატური ბლოკი. მარადიული ძიებები

საორიენტაციო თემები

სიტყვის ძალა (მაგ., სიტყვის მნიშვნელობა ადამიანზე ზეგავლენის მოხდენის, შედეგიანი კომუნიკაციის დამყარების თვალსაზრისით, მწერლობის როლი და მნიშვნელობა);

სიკეთე და ბოროტება (მაგ., ადამიანის ნების როლი სიკეთისა და ბოროტების დაპირისპირებაში, ზნეობრივი არჩევანი);

ცხოვრების საზრისი (მაგ., ადამიანის დანიშნულება, ადამიანური პოტენციალის რეალიზების გზების ძიება-გააზრება).

შედეგებისა და შინაარსის დამაკავშირებელი კითხვები

- რომელი მომენტები/ეპიზოდები, დეტალებია ტექსტში ყველაზე მნიშვნელოვანი და რატომ?
- როგორ/რა საშუალებებით ცდილობს ავტორი მკითხველზე გავლენის მოხდენას, თავისი აზრის, პოზიციის დასაბუთებას?

- რას მეუბნება თხოულება ავტორზე, ტექსტის შექმნის ეპოქაზე?
- რამდენად და რითია ტექსტი საინტერესო თანამედროვე ადამიანისთვის, პირადად ჩემთვის?
- რამდენად/როგორ დამეხმარება ტექსტი რეალური ცხოვრების გაცნობაში, საკუთარი თავის შეცნობაში?
- როგორ შემიძლია უკეთ გადმოვცე ჩემი ცოდნა, გამოვხატო აზრები, ფიქრები და დამოკიდებულებები ტექსტის, თემის, პრობლემის/საკითხის მიმართ?

ბ) ეროვნული უმცირესობების ენა და ლიტერატურა ქართულენოვანი სკოლების მცირერიცხოვანი ეთნიკური უმცირესობებისათვის.

საგნის მიზნები

- სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა ტიპის ტექსტების შექმნა-გაზიარების უნარების განვითარება (მათ შორის ტექსტების შექმნა-გაზიარება თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით);
- ჰუმანურ ღირებულებებზე ორიენტირებული, შემოქმედებითი და მამიებელი პიროვნების ფორმირების ხელშეწყობა;
- მშობლიური ენისა და ლიტერატურის, ზოგადად, მშობლიური კულტურის მიმართ პატივისცემისა და პასუხისმგებლობის გრძნობის გამომუშავება;
- სხვა კულტურების პატივისცემელი პიროვნების ფორმირების ხელშეწყობა;
- მიკუთვნებულობის გრძნობის განვითარება;
- კულტურული იდენტობის განვითარება;
- მოქალაქეობრივი აზროვნების ჩამოყალიბება.

პუნქტი 1. მცირერიცხოვანი ეთნიკური უმცირესობების ენა საბაზო საფეხურზე, A სტანდარტი (VII-IX კლასებისათვის)

A სტანდარტი განკუთვნილია იმ მოსწავლეებისათვის, რომლებმაც სკოლაში მისვლისას იციან მშობლიური ენა.

ინდექსების განმარტება

სტანდარტში გაწერილ თითოეულ შედეგს წინ უძღვის ინდექსი, მაგ., „**მშA.საბ.1.**“

„**მშA**“ - მიუთითებს საგანს „მშობლიური ენა და ლიტერატურა მცირერიცხოვანი ეთნიკური უმცირესობებისათვის, A სტანდარტი“;

„**საბ.**“ - მიუთითებს საფეხურს,

„**1**“ - მიუთითებს სტანდარტის შედეგის რიგს (აქ: პირველ შედეგს).

მიმართულება: ტექსტის გაგება-განალიზება	
მოსწავლემ უნდა შეძლოს:	
მშ.საბ. 1	ტექსტში არსებული ინფორმაციის გააზრების საფუძველზე დასკვნ(ებ)ის გამოტანა.
მშ.საბ. 2	მსჯელობა ტექსტის თემაზე, მთავარ იდეაზე, პრობლემაზე/საკითხზე მნიშვნელოვანი დეტალების/ნიუანსების გათვალისწინებით.
მშ.საბ. 3	ტექსტის გააზრება ისტორიულ და თანამედროვე კონტექსტში.
მიმართულება: ცოდნისა და იდეების გაზიარება	
მოსწავლემ უნდა შეძლოს:	
მშ.საბ. 4	ტექსტის ინტერპრეტაცია, შეფასება; საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა და ახსნა-განმარტება.
მშ.საბ. 5	ტექსტების (მაგ., წერიტი ნამუშევრის, პრეზენტაციის) შედგენა-გაზიარება საკომუნიკაციო სიტუაციის გათვალისწინებით.
მიმართულება: ენა	
მოსწავლემ უნდა შეძლოს:	
მშ.საბ. 6	ენობრივ-გამომსახველობითი ფორმებისა და კონსტრუქციების ცოდნის გამოყენება ტექსტის ანალიზის დროს.
მშ.საბ. 7	ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებების (ლექსიკური, სტილური, მხატვრული) ცოდნის გამოყენება ტექსტის შედგენის დროს.
მშ.საბ. 8	სტრუქტურულ-ორგანიზაციული ელემენტების ცოდნის გამოყენება ტექსტის გაგება-განალიზების დროს.

შინაარსი

ცნებები

ტექსტის ტიპები

- **მხატვრული ლიტერატურა:** პროზაული და პოეტური ნაწარმოებები - ლექსები; ადაპტირებული მოთხრობები, იგავ-არაკები, მითები და ლეგენდები;
- **არამხატვრული ლიტერატურა:** ა) პრაგმატული ტექსტები - ტელეპროგრამა, რეკლამა, აფიშა, ანონსი, ანოტაცია, გამომხატურება ბ) საქმიანი ქაღალდები - განცხადება, სამოტივაციო წერილი, რეზიუმე (CV);გ) კორესპონდენცია - პირადი და მარტივი ოფიციალური წერილები, ინტერვიუ; დ) საინფორმაციო და შემეცნებითი ტექსტები - სტატიები წიგნებიდან, ჟურნალებიდან და გაზეთებიდან; ე) ბიოგრაფიული ტექსტები - ავტობიოგრაფია, ბიოგრაფია, ბიოგრაფიული ცნობარი/პორტრეტები, დღიური, მოგონება;

- **მედია/მულტიმედია ტექსტები:** მხატვრული და დოკუმენტური ფილმები, სპექტაკლები; საყმაწვილო გასართობ-შემეცნებითი გადაცემები; სტატიები საბავშვო ვებგვერდიდან, ვებპორტალიდან; აუდიო-ვიდეო სასწავლო რესურსები საპროგრამო თემატიკაზე;

ლექსიკა და სტილი

სინონიმი, ანტონიმი, ომონიმი, დიალექტიზმი, ბარბარიზმი, ჟარგონი, არქაიზმი, ნეოლოგიზმი; ფრაზეოლოგიზმი/მყარი შესიტყვება;

ლიტერატურათმცოდნეობა: ჟანრი, თემა, ქვეთემა, დედააზრი (მთავარი იდეა), მოქმედების დრო და ადგილი, ავტორი, მთხრობელი; პერსონაჟი, ხედვის კუთხე, ლირიკული გმირი; მეტრი, რითმა; ალიტერაცია, ასონანსი; მეტაფორა, სახე-სიმბოლო, ალეგორია; რეფრენი, აფორიზმი; ციტირება, ალუზია; კომპოზიცია; სიუჟეტის განვითარების ეტაპები (კვანძის შეკვრა, კულმინაცია, კვანძის გახსნა).

ტექსტის სტრუქტურა

- ტექსტის სტრუქტურის მორგანიზებელი სიტყვიერი/ვერბალური ელემენტები: *სათაური, ქვესათაური, რუბრიკა, წარწერა, აბზაცი*
- ტექსტის მორგანიზებელი არასიტყვიერი/არავერბალური ელემენტები: *ილუსტრაცია, სვეტი, სქემა, სვეტი, ლოგო;* *ტიპოგრაფიულმინიშნებები - დახრილ, წვრილი/მსხვილ შრიფტს, ხაზგასმას, სასვენ ნიშნები; ინტონაცია, მიმიკა, შესტიკულაცია, ხმის ტემბრი.*
- ტექსტის დიზაინი, მისი სტრუქტურულიორგანიზების თავისებურება, მასში სიტყვიერი და არასიტყვიერი ელემენტების განლაგება;

კომუნიკაცია

- კომუნიკაციის ადრესატი, ადრესანტი; აუდიტორია, მკითხველი;
- კომუნიკაციის მიზანი, თემა;
- საკომუნიკაციო სიტუაცია (მიზანი, ადრესანტი, ადრესატი, კონტექსტი);

ინტერკულტურული კომუნიკაცია

- კულტურათაშორისი დიალოგი
- ენობრივ-კულტურული თვითმყოფადობა;
- სოციოკულტურული თავისებურებები;
- ქცევის და შეტყვევების ეტიკეტი, ეტიკეტური ნორმები;
- სტერეოტიპული წარმოდგენები;
- პარტიკულარიზმი, განსხვავებულის არ ცნობა, ტოლერანტობა.

ფუნქციური სამეტყველო მოქმედებები

ქვემოთ წარმოდგენილია იმ ფუნქციური სამეტყველო მოქმედებების ჩამონათვალი, რომელთა შესრულებაც უნდა შეძლოს მოსწავლემ სხვადასხვა კონტექსტებსა თუ სიტუაციებში კომუნიკაციისას.

- აღწერა
- თხრობა
- ახსნა-განმარტება
- არგუმენტირება
- დარწმუნება

დ) ძირითადი თემატიკა

საბაზო საფეხურზე ლიტერატურის სწავლა-სწავლება წარიმართება ორი ძირითადი თემატური ბლოკის ფარგლებში. საბაზო საფეხურის თითოეულ კლასში მოსწავლეებს უნდა შევთავაზოთ ორივე თემატური ბლოკის შესაბამისი მასალა. თითოეული თემატურ ბლოკს ახლავს თემატური საკვანძო კითხვები, რომლებმაც უნდა დააფიქროს მოსწავლე კონკრეტული საორიენტაციო თემის ფარგლებში შეთავაზებული ტექსტების შესწავლისას.

I თემატური ბლოკი. ადამიანის ცხოვრება, საზოგადოებაში თანაცხოვრება

საორიენტაციო თემები

ადამიანი და მისი ცხოვრება (მაგ., *ადამიანის ყოფა-ცხოვრება, საქმიანობა, ურთიერთობა სხვა ადამიან(ებ)თან; ადამიანის შინაგანი სამყარო (გრძნობები, განცდები, ემოციები, დამოკიდებულებები/ფასეულობები*);

გმირობა (ადამიანი, რომელიც ზეგავლენას ახდენს საზოგადოებაზე -გმირი);

II თემატური ბლოკი. სამყაროს შეცნობა, ახლის ძიება

საორიენტაციო თემები

სამშობლო/მშობლიური სამყარო (მაგ., *მშობლიური ქვეყნის წარსული, აწმყო, მომავალი; მშობლიური ენა, კულტურა; მშობლიური ქვეყნის მრავალფეროვნება*);

ახალი სამყაროს აღმოჩენა-შემეცნება (მაგ., *მოგზაურობა, სწავლა-აღზრდა*).

სიკეთე და ბოროტება (მაგ., *ადამიანის ნების როლი სიკეთისა და ბოროტების დაპირისპირებაში, ზნეობრივი არჩევანი*)

პუნქტი 2.. მცირერიცხოვანი ეთნიკური უმცირესობების ენა დაწყებით საფეხურზე, B სტანდარტი (VII-IX კლასებისათვის)

B სტანდარტი განკუთვნილია იმ მოსწავლეთათვის, რომლებმაც სკოლაში მისვლისას საერთოდ არ იციან მშობლიური ენა.

ა) IXკლასის ბოლოს მისაღწევი შედეგები

ინდექსების განმარტება

სტანდარტში გაწერილ თითოეულ შედეგს წინ უძღვის ინდექსი, მაგ., „მშ.ბ.საბ.1.“

„მშბ“ - მიუთითებს საგანს „მშობლიური ენა და ლიტერატურა მცირერიცხოვანი ეთნიკური უმცირესობებისათვის, B სტანდარტი“;

„საბ.“ - მიუთითებს VII-IX კლასების სტანდარტს,

„1“ - მიუთითებს სტანდარტის შედეგის რიგს (აქ: პირველ შედეგს).

შედეგის ინდექსი	შედეგები
მიმართულება 1. ტექსტის გაგება (რეცეპციული უნარები)	
მოსწავლემ უნდა შეძლოს:	
მშბ. საბ. 1	მოსმენის/კითხვის წინარე სტრატეგიების გამოყენებით სათანადოდ მომზადება ტექსტის გასააზრებლად.
მშბ. საბ. 2	მოსმენის/კითხვის სათანადო სტრატეგიებისა და ენობრივი ცოდნის გამოყენებით ტექსტის შინაარსის ეტაპობრივად კონსტრუირება.
მშბ. საბ. 3	ტექსტის შინაარსის დაკავშირება საკუთარ ცოდნასა და გამოცდილებასთან, მის მიმართ საკუთარი დამოკიდებულების განსაზღვრა.
მშბ. საბ. 4	ტექსტის გააზრებისას წარმოქმნილი სირთულეებისა თუ ხარვეზების დადგენა და გაუმჯობესების გზების დასახვა.
მიმართულება 2. წერა და ლაპარაკი (პროდუცირება)	
მოსწავლემ უნდა შეძლოს:	
მშბ. საბ. 5	ლაპარაკის/წერის წინარე სტრატეგიების გამოყენებით სათანადოდ მომზადება ზეპირი/წერიტი კომუნიკაციისათვის (მაგ. მიზნის განსაზღვრა, იდეების მოფიქრება და დაჯგუფება, საჭირო ენობრივ-გრამატიკული ცოდნისა და დამხმარე რესურსის მობილიზება, რეპეტიციის გავლა).
მშბ. საბ. 6	ზეპირი საკომუნიკაციო სიტუაციის/მიზნის შესაბამისი სამეტყველო მოქმედებების შესრულება მშობლიური ენისათვის დამახასიათებელი ფონეტიკური თავისებურებისა და ინტონაციის დაცვით.
მშბ. საბ. 7	მობილიზებული იდეებისა და ენობრივ-გრამატიკული ცოდნის გამოყენებით მიზნის შესაბამისი წერილობითი ტექსტის პირველადი ვარიანტის შემუშავება სტრუქტურულ-ორგანიზაციული მახასიათებლების დაცვით.
მშბ. საბ. 8	საკომუნიკაციო მიზანთან მიმართებით ნაწერის ენობრივი, შინაარსობრივი თუ სტრუქტურული გაუმჯობესება, საბოლოო ვარიანტის სათანადოდ გაფორმება.

მშ. საბ. 9	ზეპირი და წერითი კომუნიკაციისას გამოვლენილი ძლიერი და სუსტი მხარეების გაანალიზება და გაუმჯობესების სამოქმედო გეგმის შედგენა.
მშ. საბ. 10	ტექსტებსა და კონტექსტებში ასახული კულტურული, სოციოკულტურული რეალიების მშობლიურთან შედარება, მსგავსება-განსხვავებების გამოვლენა, კულტურული თავისებურებების მიმართ საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა.
მიმართულება 3. საქმიანობა მშობლიური ენის გამოყენებით	
მოსწავლემ უნდა შეძლოს:	
მშ. საბ. 11	კულტურათმორისი დიალოგის ხელშეწყობი ინიციატივების გამოვლენა და რეალიზება.
მშ. საბ. 12	ზეპირი და წერითი კომუნიკაციის უნარების გამოყენებით საქმიანი იდეების განხორციელება.

შინაარსი

ცნებები

ტექსტის ტიპები

- **დიდაქტიზებული (საგანგებოდ სასწავლო მიზნით შექმნილი) ტექსტები** - თემატურ-სიტუაციური დიალოგი/მონოლოგი; მარტივი ამბავი, ინტერვიუ, ამბავი, დღიური;
- **პრაგმატული ტექსტები** - სხვადასხვა ტიპის განრიგი/პროგრამა, გზის მარშრუტი, სარეკლამო ხასიათის ტექსტები: სოციალური რეკლამა, სარეკლამო რგოლი, სარეკლამო სლოგანი, პროსპექტი, ტურისტული ვებგვერდი, კლიპი, აფიშა;
- **კორესპონდენცია** (ბეჭდური და ელექტრონული ფორმით): ღია ბარათი, მეგობრული წერილი, შეტყობინება/SMS/CHAT, მოსაწვევი/მისალმონი ბარათი;
- **ადაპტირებული საინფორმაციო-შემეცნებითი ტექსტები** - ცნობარი, ანოტაცია, ინტერვიუ, რეპორტაჟი, ბუკლეტი, ბიოგრაფია, საყმაწვილო ენციკლოპედიის სტატია, ზეპირი გამოსვლა/პრეზენტაცია;
- **გასართობ-შემოქმედებითი ტექსტები** - სიმღერა, ლექსი, სკეტჩი, რიტმული ტექსტი, რეპი, კარიკატურა.

ტექსტის სტრუქტურა

- ტექსტის სტრუქტურის მარგანიზებული სიტყვიერი/ვერბალური ელემენტები: *სათაური, ქვესათაური, რუბრიკა, წარწერა, აბზაცი*
- ტექსტის მარგანიზებული არასიტყვიერი/არავერბალური ელემენტები: *ილუსტრაცია, სვეტი, სქემა, სვეტი, ლოგო; ტიპოგრაფიული მინიშნებები - დახრილი, წვრილი/მსხვილი შრიფტი, ხაზგასმა, სასვენი ნიშნები; ინტონაცია, მიმიკა, ჟესტიკულაცია, ხმის ტემბრი.*
- ტექსტის დიზაინი, მისი სტრუქტურული ორგანიზების თავისებურება, მასში სიტყვიერი და არასიტყვიერი ელემენტების განლაგება;

კომუნიკაცია

- კომუნიკაციის ადრესატი, ადრესანტი; აუდიტორია, მკითხველი;

- კომუნიკაციის მიზანი, თემა;
- საკომუნიკაციო სიტუაცია (მიზანი, ადრესანტი, ადრესატი, კონტექსტი);

ინტერკულტურული კომუნიკაცია

- კულტურათაშორისი დიალოგი
- ენობრივ-კულტურული თვითმყოფადობა;
- სოციოკულტურული თავისებურებები;
- ქცევის და მეტყველების ეტიკეტი, ეტიკეტური ნორმები;
- სტერეოტიპული წარმოდგენები;
- პარტიკულარიზმი, განსხვავებულის არ ცნობა, ტოლერანტობა.

სტრატეგიები

- მოსმენის/კითხვის წინარე სტრატეგიები - ვარაუდების გამოთქმა; ცოდნის მობილიზება (წინარე ცოდნის გააქტიურება; აუცილებელი ენობრივი ცოდნის დახმარე რესურსებში მოძიება);
- მოსმენის/კითხვის სტრატეგიები - გაცნობითი კითხვა; სელექციური კითხვა/მოსმენა; შესწავლითი კითხვა/მოსმენა: წარმოდგენაში გაცოცხლება; გაუგებარ მონაკვეთებთან მიბრუნება; შეკითხვების დასმა; ინფორმაციის დაჯგუფება; ტექსტის მონაკვეთის, აბზაცის შეჯამება; გამოცნობა, სტრატეგიათა მიზნის შესაბამისად ცვლა.
- ლაპარაკის სტრატეგიები - ცოდნის მობილიზება, რეპეტიცია; პარაფრაზირება;
- წერის წინარე სტრატეგიები - მიზნის და ადრესატის განსაზღვრა; იდეების დაბადება; იდეების დაჯგუფება; ცოდნის მობილიზება;
- წერის სტრატეგიები - გეგმის შედგენა; პირველადი ვარიანტის შედგენა; პირველი ვერსიის გაუმჯობესება; ნაწერის გაფორმება და გამოქვეყნება.
- სტრატეგიები ლექსიკისა და გრამატიკის შესასწავლად - ენათმეორისი პარალელების გავლება; დედუქცია, ინდუქცია, დამახსოვრების ხერხების გამოყენება;
- მეტაკოგნიტური სტრატეგიები - აქტივობის/დავალების ღირებულების განჭვრეტა, მეტაკოგნიტური პაუზა: სასწავლო აქტივობაში გამოყენებული სტრატეგიების გახსენება, გაანალიზება და შეფასება მიზანშეწონილობისა და ეფექტიანობის თვალსაზრისით. სწავლის პროცესზე დაფიქრება-რეფლექსია, შემადგენელი და ხელშემწყობი პირობების გაცნობიერება და წინსვლის ხელშეწყობა.

გრამატიკა

1. მორფოლოგია

- ზმნის მორფოლოგია - უღლება (ფორმაცვალება პირის, რიცხვის, დროის, კილოს მიხედვით)
- არსებითი სახელების, ზედსართავების, დეტერმინანტების, ნაცვალსახელების ფორმაცვალება (ცვლა რიცხვისა და სქესის მიხედვით, ბრუნება);
- პრეფიქსაცია და სუფიქსაცია.

2. მარტივი წინადადების სტრუქტურა - ზმნის ჯგუფი; სახელის ჯგუფი; კითხვითი, უარყოფითი, ბრძანებითი წინადადებები; მყარი შესიტყვებები.

3. **როული წინადადებისა და ტექსტის სტრუქტურა** - დროითი, ქრონოლოგიის, ლოგიკური მიმართებების (მიზეზის, შედეგის, მიზნის, პირობის) გამომხატველი გრამატიკული სტრუქტურები და მარკერები, ანაფორული კავშირები.

კონკრეტული გრამატიკული საკითხების ჩამონათვალი ენების მიხედვით იხ. დანართში. სტანდარტი მოსწავლისაგან მოითხოვს არა ენის სისტემის აღწერას, არამედ შეძენილი გრამატიკული ცოდნის ფუნქციურად, კომუნიკაციური მიზნებით გამოყენების უნარს.

საკითხები

ფუნქციური სამეტყველო მოქმედებები

ქვემოთ წარმოდგენილია იმ ფუნქციური სამეტყველო მოქმედებების ჩამონათვალი, რომელთა შესრულებაც უნდა შეძლოს მოსწავლემ სხვადასხვა კონტექსტებსა თუ სიტუაციებში კომუნიკაციისას. სტანდარტი გამოყოფს მიკრო-ფუნქციებს და მაკრო-ფუნქციებს.

მიკრო-ფუნქციები:

- **ინტერაქცია სოციალურ რიტუალებში** - მისალმება; ვინმეს/საკუთარი თავის წარდგენა; ვინმეს მიღება; მილოცვა; კეთილი სურვილის გამოხატვა; გამომშვიდობება; ტელეფონზე ინტერაქცია (ზარზე პასუხი, სასურველი პირის დასახელება, თანამოსაუბრის ვინაობის დადგენა, მობოდიშება, დალოდების თხოვნა, საუბრის დასრულება); მადლობის გადახდა;
- **ინტერაქცია ინფორმაციის შესახებ** - სახელდება, მითითება, აღნიშვნა; ინფორმაციის მოთხოვნა/გაცემა: რაიმე საგნის/პიროვნების შესახებ (რა არის, ვინ არის); დროის შესახებ (დროის მონაკვეთების აღნიშვნა; დროში - აწმყოს, წარსულსა თუ მომავალში - ლოკალიზება; თანადროულობის, წინსმწრებობის, მერმინდელიობის გამოხატვა, დასაწყისის, დასასრულის აღნიშვნა; განმეორებადობის, ხანგრძლივობის, სიხშირის აღნიშვნა); სივრცის შესახებ (ადგილის/ადგილმდებარეობის აღნიშვნა; მანძილის დაზუსტება, მოძრაობის, მიმართულება/ორიენტაციის აღნიშვნა); ვითარების შესახებ; რაოდენობისა და ხარისხის შესახებ; მიზეზის შესახებ; ფაქტის დადასტურება/ უარყოფა; ინფორმაციის შესწორება.
- **ინტერაქცია შეხედულებების და დამოკიდებულების შესახებ** - საკუთარი თვალსაზრისის გამოხატვა; მიმხრობა-გაზიარება; შეწინააღმდეგება, უარყოფა; დაპირისპირება; გაპროტესტება; გამოხატვა იმისა, რომ რაიმე იცი ან არ იცი, შეგიძლია/არ შეგიძლია; გამოხატვა იმისა, რომ რაიმე გახსოვს ან დაგავიწყდა; რაიმეს შეხსენება; ეჭვის, დაურწმუნებლობისა თუ დარწმუნებულობის გამოხატვა; საკუთარი სურვილების, განზრახვის გამოხატვა; ვალდებულების, აუცილებლობის გამოხატვა; დაბრალება, ბრალის აღიარება; შედარება: მსგავსების/განსხვავების, მეტობის/ნაკლებობის აღნიშვნა, მიზეზშედეგობრივი კავშირები, მიზნის, პირობითობის გამოხატვა.
- **ინტერაქცია ემოციებსა და გრძნობებზე** - სიხარულის, სიამოვნების, ბედნიერების განცდის გამოხატვა; მოწყენილობის, სევდის გამოხატვა; ნუგეშინისცემა, დამშვიდება; იმედის, გულდაწყვეტის გამოხატვა; შიშის, წუხილის, შვების, ფიზიკური ტკივილის გამოხატვა; მოწონების/არ მოწონების, აღფრთოვანების გამოხატვა; გამოხატვა იმისა, თუ რა გირჩევნია; კმაყოფილების/უკმაყოფილობის გამოხატვა, დაჩვილება; ბრაზის, უგუნებობის გამოხატვა; ინტერესის გამოხატვა რაიმეს მიმართ; გაკვირვების/ინდიფერენტული დამოკიდებულების, მადლიერების გამოხატვა;

- **ინტერაქცია ქმედებებსა და საქმიანობებზე** - ბრძანების ან ინსტრუქციის მიცემა; დახმარების თხოვნა; შეკვეთის მიცემა (მაგ. კაფეში, რესტორანში); თხოვნაზე პასუხი გაცემა დათანხმებით, ყოყმანით, უარისთქმით; რაიმეს გაკეთების თხოვნა; რაიმე გაკეთების შეთავაზება; ერთად/სხვის ნაცვლად რაიმეს მიცემის, ჩუქების, თხოვების შეთავაზება; შეთავაზებაზე დადებითი ან უარყოფითი პასუხის გაცემა; რჩევის მიცემაგაფრთხილება; გამხნევება; ნებართვის თხოვნა/მიცემა; აკრძალვა; დამუქრება; დაპირება; საყვედურის მიცემა.
- **სიტყვის, სათქმელის სტრუქტურირება** - გეგმის წარდგენა; ამბის წამოწყება, ახალ საუბარში ინფორმაციის შემოტანა, თემის/საკითხის განხილვის წამოწყება, თემის/საკითხის, გაშლა-განვითარება ჩამოთვლის, დაჯგუფების, შედარების, აღწერის, თხრობის საშუალებით; რაიმე ინფორმაციის გამოკვეთა/ხაზგასმა; გადასვლა ერთი საკითხიდან მეორეზე; საკითხიდან გადახვევა, მიბრუნება მთავარ საკითხთან; მაგალითის მოყვანა; სხვისი ნათქვამის მოყვანა; ციტირება; შეჯამება; პარაფრაზირება; დასკვნითი ნაწილის წარდგენა.
- **ზეპირი ინტერაქციის სტრუქტურირება** - საუბრის დაწყება; საუბარში ჩართვა/სიტყვის თხოვნა; შეწყვეტილი სიტყვის გაგრძელება; ვინმეს გაჩუმება; გადამოწმება იმისა თუ რამდენად გაიგო ნათქვამი თანამოსაუბრემ; რაიმეს დაზუსტება/ახსნა-განმარტება; გადამოწმება იმის, რომ მართებულად გვესმის თანამოსაუბრისა (კითხვის დასმით, გამეორების თხოვნით, დამარცვლის თხოვნით, საუბრის შენელების თხოვნით, პარაფრაზირების თხოვნით).

ფუნქციური სამეტყველო მოქმედებების კონკრეტული რეალიზების ნიმუშები ენების მიხედვით იხ. დანართში.

მაკრო-ფუნქციები:

- აღწერა
- თხრობა
- ახსნა-განმარტება
- ინსტრუქტირება
- დემონსტრირება
- არგუმენტირება
- დარწმუნება

თემატური ჩარჩო საბაზო საფეხურის სასწავლო თემებისათვის

ქვემოთ მოცემული ჩარჩო აღწერს იმ კონტექსტებს, რომლებშიც უნდა შეძლოს მოსწავლემ მშობლიური ენის გაგება-გამოყენება. შესაბამისად, საბაზო საფეხურის სამივე კლასის სასწავლო თემები მთლიანობაში უნდა შეესაბამებოდეს სტანდარტის თემატური ჩარჩოს.

ინდივიდის აქტივობის სფეროები			
პარამეტრები	პირადი	საზოგადოებრივი	საგანმანათლებლო
ადგილი	კერძო სივრცეები, მაგ., სახლი, ბინა, ეზო.	საჯარო სივრცეები სოფელსა თუ ქალაქში (მაგ., უბანი, ქუჩა, მოედანი, სხვადასხვა ტიპის ტრანსპორტი, პარკი, კაფე, აეროპორტი,	სკოლის შენობა და მისი მიმდებარე ტერიტორია, კოლეჯი, პროფესიული სასწავლებელი.

		მღაზია, ბიბლიოთეკა, სადგური).	
ინსტიტუცია	ოჯახი, თემი.	მერია, პოლიცია, სამაშველო სამსახური, საქველმოქმედო საზოგადოება.	სკოლა და სასკოლო საზოგადოება, ზოგადი და პროფესიული განათლება.
ადამიანი	ოჯახის წევრები, ნათესავები, წინაპრები, თანატოლები, მეგობრები, ნაცნობები.	სხვადასხვა საქმიანობის და პროფესიის ადამიანები (მაგ., მეხანძრე, ექიმი, მზარეული, მწერალი, მოგზაური), მოქალაქე, მგზავრი, მაყურებელი, გულშემატკივარი და სხვ.	სკოლის პერსონალი (მაგ., მასწავლებელი, დამრიგებელი, დირექტორი, ბიბლიოთეკარი, დარაჯი), მოსწავლე, მშობელი.
საგანი	ავეჯი, სამოსი, საყოფაცხოვრებო ნივთები, სპორტული აღჭურვილობა და სხვ.	ფული, საფულე, სურსათი, საქონელი, წამლები, ოფიციალური დოკუმენტები (პირადობის მოწმობა, მართვის მოწმობა).	სასკოლო აღჭურვილობა და ნივთები (მაგ., წიგნი, დაფა, ცარცი, კომპიუტერი, პროექტორი, სპორტული ინვენტარი).
მოვლენა	ოჯახური დღესასწაულები, ავადმყოფობა, დღეობები, სტუმრობა, წვეულება, კულტურული და სპორტული აქტივობები, არდადეგები და სხვ.	ბუნებრივი მოვლენები, უბედური შემთხვევა, ბაზრობა, კონკურსი, სპექტაკლი, სამოქალაქო და რელიგიური ზეიმი და სხვ.	სასწავლო წლის დასაწყისი/დასასრული, კლასგარეშე ღონისძიებები, კონკურსები, კონფლიქტები სკოლაში და სხვ.
მოქმედება	ყოველდღიური ყოფითი, შემოქმედებით-ინტელექტუალური, სპორტული, გასართობი საქმიანობები (მაგ., ჭამა, ჩაცმა, კითხვა, მეცადინეობა, კოლექციონერობა, ტელევიზორის ყურება).	ყოფითი, შემოქმედებით-ინტელექტუალური, სპორტული, გასართობი აქტივობები საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში (მაგ., საყიდლებზე სიარული, თეატრში წასვლა, სპორტულ შეჯიბრში მონაწილეობა), მგზავრობა, მოგზაურობა.	სწავლა და სწავლება; კლასგარეშე შემოქმედებით-ინტელექტუალურ, სპორტულ და გასართობ აქტივობებში მონაწილეობა, მშობელთა კრება.
ბუნება, ცხოველთა სამყარო, მცენარეთა სამყარო	შინაური და გარეული ცხოველები, ყვავილები, ხეები, ტყე, მდინარე, ტბა, უდაბნო, ზღვა, მთა, მინდორი, კოსმოსი.		

სასწავლო პროცესის საკვანძო კითხვები

საკვანძო კითხვები, რომლებიც რელევანტურია ნებისმიერი სასწავლო თემისთვის, უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის მოსწავლეზე და სტანდარტის შედეგებზე ორიენტირებას.

1. როგორ მოვემზადო იმისთვის, რომ შევძლო საკომუნიკაციო ამოცანის გადაჭრა?
2. რომელი სტრატეგია უნდა გამოვიყენო და რატომ?
3. რატომ მიჭირს/გამიჭირდა ტექსტის გაგება/სათქმელის ჩამოყალიბება? როგორ გადავლახო ეს სიძნელე?
4. როგორ დავიმახსოვრო ენობრივი მასალა (ლექსიკური ერთეულები, შესიტყვებები, ენობრივი ფორმულები, გრამატიკული ფორმები)?
5. როგორ მოვიქცე გრამატიკული მექანიზმების გასაგებად და ასათვისებლად?
6. როგორ გავიუმჯობესო გამოთქმა?
7. როგორ გავაუმჯობესო ნამუშევარი?
8. როგორ შევუწყო ხელი კულტურათმშორის დიალოგს?

ტერმინოლოგიური ლექსიკონი

- **მიკრო-ფუნქციები** არის კატეგორიები, რომლებიც განსაზღვრავენ ცალკეული გამონათქვამების ფუნქციურ გამოყენებას.
- **მაკრო-ფუნქციები** არის კატეგორიები, რომლებიც განსაზღვრავენ წერილობითი ან ზეპირი დისკურსის (გამონათქვამთა ბმული თანამიმდევრობის) ფუნქციურ გამოყენებას.
- **ცოდნის მობილიზება** გულისხმობს ორ ტიპის ქმედებას: 1) იმ წინარე ენობრივი თუ თემასთან დაკავშირებული წინარე ცოდნის გონებაში მოძიება-გააქტიურებას, რომელის უკავშირდება დასამუშავებელ ახალ საკითხებს; 2) საჭიროებისამებრ, დამატებითი ინფორმაციის მოძიებას სათანადო რესურსებში.
- **გაცნობითი კითხვა** გულისხმობს ტექსტის ზოგადი შინაარსის გასაგებად ყურადღების მიმართვას ტექსტის ორგანიზებაზე, მის სტრუქტურულ ერთეულებზე; ტექსტის შინაარსზე აზრის შესაქმნელად სათაურის/ქვესათაურების, ილუსტრაციების, წარწერების, გამოყოფილი სიტყვების, აბზაცების პირველი და/ან ბოლო წინადადების წაკითხვა (გაცნობითი მოსმენის შემთხვევაში მსმენელი ყურადღებას გაამახვილებს ნაცნობ სიტყვებსა და შესიტყვებებზე, არავერბალურ ელემენტებზე (ინტონაცია, მიმიკა-ჟესტიკულაცია, ხმის ტემბრი და სხვ.).
- **სელექციური კითხვა/მოსმენა** გულისხმობს ყურადღების მიზანმიმართულად წარმართვას არა მთლიან შინაარსზე, არამედ მხოლოდ და მხოლოდ საჭირო ინფორმაციის ამოსაკრებად.
- **შესწავლითი კითხვა** გულისხმობს ტექსტის დეტალურ დამუშავებას სხვადასხვა სტრატეგიის გამოყენებით. ამგვარ სტრატეგიებს წარმოადგენს:
 - **მთლიანად ჩაკითხვა** - ტექსტის მთლიანად ჩაკითხვა უცნობ სიტყვებზე შეჩერების გარეშე თემატიკის/მთავარი საკითხების შესახებ აზრის შესაქმნელად;
 - **გონებაში დამუშავება** - ტექსტის ცალკეული მონაკვეთის/აბზაცის შინაარსის წარმოდგენაში გაცოცხლება, წინარე ცოდნასთან დაკავშირება და დამუშავება;
 - **გამოცნობა** (იხ. ქვემოთ);
 - **უცნობი სიტყვების ამოწერა** - ლექსიკონის დახმარებით უცხო სიტყვების მნიშვნელობის ამოცნობა;

- მიბრუნება - გაუგებარ, რთულ, ბუნდოვან მონაკვეთებთან მიბრუნება;
- შეკითხვების დასმა - ტექსტის მონაკვეთების ერთმანეთთან დასაკავშირებლად;
- ინფორმაციის დაჯგუფება - ინფორმაციის ორგანიზების სხვადასხვა ხერხის (სემანტიკური რუკის, სქემატური ჩანაწერების, ტაბულის, გრაფიკის) გამოყენება.
- ტექსტის სხვადასხვა მონაკვეთის/აზრის შეჯამება.
- გამოცნობა გულისხმობს უცნობი სიტყვების, გამოთქმების მნიშვნელობის ამოცნობას ნაცნობი ელემენტების (კონტექსტის, მშობლიურ ენაში დამკვიდრებული უცხოური სიტყვების ილუსტრაციების, ნაცნობი ფუძის, მიმიკის და სხვ.) დახმარებით.
- პარაფრაზირება ნიშნავს სიტყვის დავიწყების/არცოდნის შემთხვევაში საკომპენსაციო საშუალებების (მაგ., შესტიკულაციით მითითება, ნაგულისხმევი საგნის აღწერა ან მისი დანიშნულების აღნიშვნა) გამოყენება.
- იდეების გენერირება (დაბადება) გულისხმობს იდეების მოფიქრება-ჩამოყრას.
- იდეების დაჯგუფება გულისხმობს იდეების ურთიერთდაკავშირებას, მათ შორის არსებული მიმართებების გამოკვეთას მათგან განიხილებელი სქემების გამოყენებით.
- დედუქცია ენის სწავლების კონტექსტში გულისხმობს ენობრივი კანონზომიერების/წესის ამოცნობას, განზოგადებას და გამოყენებას კონკრეტულ მაგალითებში.
- ინდუქცია ენის სწავლების კონტექსტში გულისხმობს კონკრეტულ მაგალითებზე დაყრდნობით წესის გამოყვანას.
- აქტივობის/დავალების ღირებულების განჭვრეტა გულისხმობს მოსწავლის მიერ იმ პიროვნული თუ სოციალური სარგებლის დანახვას, რომელსაც მოუტანს მას ამ თუ იმ აქტივობის შესრულება.